ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქმიანობის

შუალედური ანგარიში

2015

ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სწავლების ცენტრის საქმიანობის

შ უ ა ლ ე დ უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი

მის: დ.აღმაშენებლის ხეივანი. მე-13 კმ.
ტელ: 251 - 00 - 51
ვებ-გვერდი: www.cesko.ge

სარჩევი

შესავალი....5

მოკლე აღწერა....7

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება....11

მიზანი 1: ეფექტური მართვის უზრუნველყოფა....11

მიზანი 2: ადამიანური რესურსების განვითარება....12

მიზანი 3: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება....19

მიზანი 4: იმიჯის განმტკიცება....27

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება....32

მიზანი 1: სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება....32

მიზანი 2: საარჩევნო კულტურის განვითარება....35

მიზანი 3: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა....38

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო....45

მიზანი 1: სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა....45

მიზანი 3: ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა....47

მიზანი 4: გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა....51

მიზანი 5: საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების დადგენის პროცესის დახვეწა....53

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები....54

მიზანი 3: ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება....54

პრობლემები და მათი გადაჭრის გზები....56

დასკვნა....57

შესავალი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავისუფალია სხვა სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენისგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანია მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება.

თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად საარჩევნო ადმინი–სტრაციის სახელმძღვანელო პრინციპებია: დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა, პროფესიონალიზმი, ანგარიშვალდებულება და ინკლუზიურობა.[1]

სწორედ ანგარიშვალდებულების პრინციპიდან გამომდინარე, საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგე–ბელია საკუთარ ქმედებებზე და შესაბამის ინსტიტუციებსა და ამომრჩევლებს რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია მუდმივად აფასებს საკუთარ საქმიანობას და მზად არის ახალი გამოწვევების მისაღებად. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციაში განვითარების ახალი პრიორიტეტები დაისახა. შესაბამისად, შეიქმნა სრულფასოვანი, გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ორგანიზაციის მუშაობის ქვაკუთხედი და გზამკვლევი დოკუმენტია არჩევნებში ჩართული ყველა მხარისთვის მომდევნო წლების განმავლობაში.

---

[1] 2014 წლის 26 დეკემბრის ცესკოს №332/2014 განკარგულებით საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა. მასში არის განსაზღვრული საარჩევნო ადმინისტრაციის მისია, ხედვა, პრინციპები და სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები და საქმიანობები.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიულ გეგმაში შემდეგი ახალი სტრატეგიული პრიორიტეტებია განსაზღვრული:

ინსტიტუციური გაძლიერება – მოიცავს ეფექტური მართვის უზრუნველყოფას, ადამიანური რესურსების განვითარებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ცესკოს იმიჯის განმტკიცებას.

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება – მოიცავს სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, საარჩევნო კულტურის განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობას.

საარჩევნო გარემო – მოიცავს სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობას, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას, გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობას.

საარჩევნო ოპერაციები – მოიცავს ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში ცესკომ, მიზნებისა და ამოცანების დასახვასთან ერთად, განსაზღვრა ის კონკრეტული საქმიანობები, რომლებიც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცების კუთხით.

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) მიერ შესრულებული სამუშაოს შუალედურ ანგარიშს წარმოადგენს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვითაა შედგენილი და მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

მოკლე აღწერა

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – ,,ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“ – ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები გამოქვეყნდა. კვლევა მიზნად ისახავდა იმ ინსტიტუტების სიძლიერის შეფასებას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში „კარგი მმართველობის“ დანერგვის, გამჭვირვალობისა და ანაგარშვალდებულების დამკვიდრებისათვის.[2]

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის კვლევასთან შედარებით, ინსტიტუციებს შორის უმაღლესი შეფასება სწორედ ცესკომ მიიღო. კვლევაში აღნიშნულია, რომ „ცესკო ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც უფრო გამჭვირვალედ წარმართავს თავის საქმიანობას და უკეთ ართმევს თავს არჩევნების ორგანიზებას“.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2015 წლის აპრილში განხორციელებული კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად არასაარჩევნო პერიოდისა, დადებითად აფასებს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას.[3] აღსანიშნავია ისიც, რომ იგივე ინსტიტუტის მიერ 2014 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი არჩევნების შესახებ, საკუთარი თავის შემდეგ, ყველაზე მეტად ცესკოს შეფასებას ენდობა.[4]

საანგარიშო პერიოდში, ცესკოს დეპარტამენტებისა და სწავლების ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციამ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია, კერძოდ:

ცესკომ დაიწყო ინოვაციური პროექტის – ,,საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“– განხორციელება, რომლის მიზანია სამოქალაქო ჩართულობის ზრდა, ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაცია,

[2] ,,ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“ კვლევის ანგარიში http://www.transparency.ge/node/5299

[3] https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_April_2015%20Poll_Public%20Political_GEO.pdf

[4] https://www.ndi.org/files/Georgia-April14-Survey-Political-Georgian.pdf

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ტრენერის უნარ-ჩვევების განვითარება და საარჩევნო ადმინისტრაციაში დაგროვილი ცოდნის გაზიარების გზით, დამატებითი ადამიანური რესურსის შექმნა. სწავლების ცენტრმა, ამომრჩეველთა სამოქალაქო და გენდერული თანასწორობის საკითხებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, ახალი საპილოტე მოდული – „გენდერი და არჩევნები“ – შეიმუშავა,რომელიც ,,საარჩევნო განვითარების სკოლა 2015-ის“ სასწავლო კურსშია ამჟამად ინტეგრირებული. ინსტიტუციური

გაძლიერების მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის ანგარიშგების პროცესი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სწავლებისა და განვითარების გეგმა, დაინერგა საორიენტაციო ტრენინგების სისტემა, ჩატარდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა სადამკვირვებლო მისიებში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და სემინარებში მიიღეს მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ცესკოში მივლინების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პრაქტიკა დაინერგა, რაც მიღებული გამოცდილების თანამშრომლებისათვის გაზიარებას უწყობს ხელს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ჩართულობის მიზნით, ცესკოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორი პირი დასაქმდა. ამგვარი მიდგომით ცენტრალური საარჩევნო კომისია ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარებას უწყობს ხელს.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის საქმის წარმოების, ადამიანური რესურსების მართვის და მედიასთან ურთიერთობის საკითხებზე ჩატარდა ტრენინგები.

სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და საარჩევნო საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით ცესკოსა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა **6** საერთაშორისო კონფერენციასა და **1** სიმპოზიუმში მიიღეს მონაწილეობა.

ცესკოს და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, ასევე, **5** საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში მიიღეს მონაწილეობა, რაც საარჩევნო პროცესის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას და გამოცდილების გაზიარებას უწყობს ხელს.

საარჩევნო უბნების გეოგრაფიული მდებარეობის მონაცემების ხელმისაწვდომობის მიზნით, შეიქმნა და ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსდა ინტერაქტიული რუკა, რომელზეც უკვე **2245** საარჩევნო უბნის კოორდინატია აღნიშნული.

2012 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო და 2015 წლის პირველ ნახევარში სრულყოფილად დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივშესანახი დოკუმენტაციის დაარქივების მიზნით, ერთიან მონაცემთა ბაზაში **7** დასახელების **48 621** ერთეული სკანირებული ელექტრონული დოკუმენტი შეიქმნა, ხოლო ელექტრონული არქივის პროგრამაში **19 579** დოკუმენტია გაციფრებული.

საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის, ზოგადი უნარების დადგენისა და შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის მიზნით, სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის პროცესი ტექნიკურად გააუმჯობესა. საანგარიშო პერიოდში სერთიფიცირების გამოცდა წარმატებით ჩააბარა **254**-მა მონაწილემ, მათ შორის, **72%** იყო ქალი, ხოლო მამაკაცი – **28%**.

ცესკოს მიზანია ხელი შეუწყოს საარჩევნო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ზრდას სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების განვითარების გზით. სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი **25** საგრანტო პროექტი დაფინანსდა.

საგრანტო კონკურსის შედეგების საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სწავლების ცენტრმა დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გრაფიკი სწავლების ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა.

ცესკომ საიმიჯო-სარეკლამო კონცეფციის შექმნის მიზნით, ახალი საიმიჯო რეკლამის კონცეფცია შეიმუშავა, რის შედეგადაც **10** გარე ბანერი დაამზადა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განათავსა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, კერძოდ მიმდინარე წლის 31 მაისს, ცესკომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №64 სენაკის საარჩევნო ოლქის №64.13 ფოცხოს და №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №67.11 ერგეტის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები ჩაატარა და საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანგარიში[5] საქართველოს პარლამენტს წარუდგინა.

პირველად, 2015 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის ხარისხს ზრდის.

---

[5] იხილეთ საკრებულოს შუალედური არჩევნების ანგარიში ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.cesko.ge/ge/arqivi-6-ge/shualeduri-archevnebi-2015/sakrebulos-shualeduri-archevnebis-angarishi

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა.

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული პრიორიტეტის „ინსტიტუციური გაძლიერების“ ფარგლებში, ცესკოს მიზანია ეფექტური მართვის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების განვითარება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და იმიჯის განმტკიცება.

თითოეული მიზნის მისაღწევად ცესკომ განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

მიზანი 1: ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

საარჩევნო ადმინისტრაციაში ეფექტური მართვის უზრუნველყოფის კუთხით, ცესკომ ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცების, კორექტირების და შესრულების წესი დახვეწა. არსებული ცვლილებები ხელს უწყობს ცესკოში ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალა ანგარიშის წარდგენის ფორმაც და მას დაემატა ისეთი პუნქტები, როგორებიცაა: შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში, ღონისძიებების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ღონისძიებები და მომდევნო საანგარიშო პერიოდის ღონისძიებები. ასევე, წესში საბიუჯეტო განაცხადის, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების წარდგენის ვადები მკაფიოდ განისაზღვრა.

მიზანი 2: ადამიანური რესურსების განვითარება

ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსების განვითარების და თანამედროვე სისტემების შექმნის მიზნით, საარჩევნო **ადმინისტრაციამ ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის პოლიტიკა** შეიმუშავა, რომლის ფარგლებშიც დაიხვეწა, განახლდა და დაინერგა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებისა და შეფასების ფორმები, კვალიფიციური კადრების შერჩევის კრიტერიუმები, საარჩევნო ადმინისტრაციის შინაგანაწესი და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტები.

შესარჩევი კონკურსები ცესკოს აპარატში და საოლქო საარჩევნო კომისიებში

კვალიფიციური ადამიანური რესურსების შერჩევის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა **შესარჩევი კონკურსები** როგორც ცესკოს აპარატში, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში:

- ცესკოს აპარატში გამოცხადებულ კონკურსში **11** ვაკანტურ თანამდებობაზე მონაწილეობის მიღებად, სულ **1012-მა** კონკურსანტმა შემოიტანა განაცხადი
- **10** საოლქო საარჩევნო კომისიაში **21** ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსში მონაწილოების მისაღებად, **280-მა** კონკურსატმა შემოიტანა განაცხადი
- ცესკოს აპარატში სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სულ **838-მა** კანდიდატმა შემოიტანა განაცხადი;. ორეტაპიანი კონკურსი შედეგად **7** სტაჟიორი შეირჩა

საარჩევნო ადმინისტრაციის შინაგანაწესის დახვეწა

საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის პოლიტიკის შემუშავების ფარგლებში, თანამშრომელთა აქტიური ჩართულობის შედეგად, ცესკომ საარჩევნო ადმინისტრაციის **შინაგანაწესის ახალი პროექტი** შეიმუშავა, სადაც დეტალურად გაიწერა ყველა ის ნორმა, რაც თანამშრომლის მიერ სამუშაოს ეფექტურ და კვალიფიციურად შესრულებას შეუწყობს ხელს.

თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა

თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით, ცესკომ ადმინისტრაციის წევრები, აპარატის თანამშრომლები, შტატგარეშე მოსამსახურეები და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები სადაზღვევო მომსახურებით უზრუნველყო. განახლდა დაზღვეულ პირთა საინფორმაციო ბაზები და შესაბამისი დოკუმენტაცია.

საარჩევნო პროცესის მართვის სისტემაში (არმასი) ადამიანური რესურსების მოდულის დახვეწა

საარჩევნო პროცესის მართვის სისტემაში (არმასი) ადამიანური რესურსების (HR) მოდული განახლდა. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფის ძირითადი მიზანი ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულზე და თითოეულ თანამშრომელზე ელექტრონულ მონაცემთა მარტივად მართვადი პროგრამის შექმნაა, რაც მონაცემთა მოძიებას, „ადამიანური კაპიტალის“ სწორად განაწილებასა და მართვას გაამარტივებს. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფის მიზნით, პროგრამაში სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის ცვლილება შევიდა.

http://armasi.cec.gov.ge



თანამშრომელთა გადამზადების სისტემა

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ცესკოში თანამშრომელთა გადამზადების სისტემა შეიქმნა.

ცესკომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სწავლებისა და განვითარების გეგმა, ასევე ტრენინგ-საჭიროებების კითხვარი შეიმუშავა. თანამშრომლებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2015 წლის გეგმა მოამზადა.

საორიენტაციო ტრენინგების სისტემის შემუშავება/დანერგვა

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის, ადმინისტრაციული საკითხების, შიდაორგანიზაციულ კულტურასთან ინტეგრაციისა და ორგანიზაციის საქმიანობის სტანდარტების გაცნობის მიზნით, ცესკომ ახალი თანამშრომლებისათვის „გზამკვლევი თანამშრომლებისათვის“ მოამზადა. სახელმძღვანელო ისეთ ძირითად საკითხებს მოიცავს, რომელთა ცოდნა ახალი თანამშრომლისათვის აუცილებელია. სახელმძღვანელოს გაცნობის შემდეგ, ახალი კადრი მარტივად შეძლებს სამუშაო პროცესში ჩართვას და არსებულ კოლექტივთან ინტეგრირებას.

ადმინისტრაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ორგანიზება

საანგარიშო პერიოდში ცესკოს აპარატის თანამშრომლებმა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ცესკოს, სწავლების ცენტრისა და მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ტრენინგსა და სემინარში მიიღეს მონაწილეობა. სულ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის **3**, ხოლო ცესკოს აპარტის თანამშრომლებისთვის **10** ტრენინგი მოეწყო.[6]

კონფერენციებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა

სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და საარჩევნო საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით, ცესკოსა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა **6** საერთაშორისო კონფერენციასა და **1** სიმპოზიუმში მიიღეს მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონეზე გამართული შეხვედრებიდან მიღებული გამოცდილებისა და სიახლეების ბაზის შექმნის მიზნით, ცესკოს თანამშრომლებს მივლინების შესახებ ანგარიშების მომზადება დაევალათ.[7]

---

[6] დეტალური ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ იხილეთ დანართში: ცხრილი #1 და ცხრილი #2.

[7] დეტალური ინფორმაცია კონფერენციებსა და სიმპოზიუმში მონაწილეობის შესახებ იხილეთ დანართში: ცხრილი #3

სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობა

არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების მიზნით, ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა 5 სადამკვირვებლო მისიაში მიიღეს მონაწილეობა, კერძოდ:

- ლიტვის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები;
- ესტონეთის საპარლამენტო არჩევნები;
- ყაზახეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნები;
- მექსიკის ფედერალური კონგრესის არჩევნები;
- მოლდოვის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

მიზანი 3: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ცესკოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ორგანიზაციის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვას და ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას გულისხმობს. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო გაამარტივებს არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის წამომადგენლებისთვის, ისე ყველა დაინტერესებული მხარისათვის; ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის გამართულ მუშაობას და არჩევნების კიდევ უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე ორგანიზება-ჩატარებას შეუწყობს ხელს.

სხვადასხვა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაო

ცესკოს ადმინისტრაციული შენობის გარკვეულ ნაწილში არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. სტიქიური მოვლენების დროს (წვიმა, ქარი) შენობაში განთავსებული ტექნიკის დაზიანების და შესაბამისი სამუშაო პროცესის შეფერხების რისკი საკმაოდ მაღალი იყო. აღჭურვილობის დემონტაჟის შემდეგ, ცესკოს სტამბა ალტერნატიულ ფართში განთავსდა.

ყველასთვის ხელმისაწვდომი არჩევნების უზრუნველყოფა

ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდის უსინათლო ამომრჩევლებისთვის ადაპტირების მიზნით, რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. დაგეგმილია რეგულარული კონსულტაციები სპეციალისტებთან. განახლებული ვებ-გვერდი გაშვებისთანავე ხელმისაწვდომი იქნება უსინათლო პირებისათვის.

საარჩევნო უბნების ადაპტირების მიზნით ცესკომ, შესაბამის უწყებებთან და საოლქო საარჩევნო კომისიებთან კოორდინაციით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადაპტირებული (გააჩნია პანდუსი) შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაცია მოიპოვა და დაამუშავა, რომლებშიც განთავსებული იყო ან/და პოტენციურად შესაძლოა განთავსდეს საარჩევნო უბანი. სულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 974 ასეთი შენობა-ნაგებობაა ადაპტირებული.

ცესკოს საარქივო დოკუმენტაციის სისტემატიზაციის ფარგლებში, ცესკოს არქივში არსებული დოკუმენტების შენახვის ვადები საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმეთა ნომენკლატურით დადგენილი ნორმების შესაბამისად გადაისინჯა; ასევე, გადახარისხდა/დამუშავდა დროებით და მუდმივშესანახი საარქივო მასალები. ამის გარდა, განადგურების აქტის საფუძველზე, განადგურდა ვადაგასული, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების, მერებისა და გამგებლების არჩევნების (I და II ტური) შესაბამისი დოკუმენტაცია.

ცესკოს არქივში არსებული მუდმივშესანახი საარქივო დოკუმენტაციის ერთიანი ბაზის წარმოების მიზნით, **არქივის გაციფრება/სისტემატიზაცია** განხორციელდა. ცესკოს არქივში არსებული მუდმივშესანახი დოკუმენტაციის შინაარსობრივი და მოცულობითი წინასწარი შესწავლისა და ანალიზის შედეგად, ელექტრონული არქივის პროგრამის სრულყოფის გეგმა შემუშავდა, რომელიც მცირე დანახარჯებს და ადამიანური და მატერიალური რესურსის რაციონალურ გამოყენებას ეფუძნება:

- 2012 წლიდან ეტაპობრივად მიმდინარეობს და დღევანდელი მდგომარეობით ერთიან მონაცემთა ბაზაში განთავსებულია **7** დასახელების **48 621** ერთეული დასკანირებული ელექტრონული დოკუმენტი
- ელექტრონული არქივის პროგრამაში **19 579** დოკუმენტია გაციფრებული
- საანგარიშო პერიოდში ელექტრონული არქივის პროგრამას სხვადასხვა დასახელების **7 046** ერთეული დოკუმენტი დაემატა

ცესკო

BORJOM

დოკუმენტების ბრუნვის საინფორმაციო (e-Document) განახლება, სრულყოფა, იმპლემენტაცია

ცესკოში 2012 წლიდან ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა (e-Document).
ელექტრონული პროგრამის მიზანია საქმისწარმოების პროცესის მაქსიმალური გამარტივება, ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია. სისტემა საოფისე დოკუმენტაციის ეფექტურ ელექტრონულ მართვასა და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფ წვდომას უზრუნველყოფს. საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (e-Document) განახლების მიზნით, ცესკოს **87** თანამშრომელს, აღნიშნული პროგრამის მომხმარებელს, ეტაპობრივად ჩაუტარდა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები. აგრეთვე, საჭიროებისამებრ შესაბამის კომპიუტერებზე განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფის განახლება.



საარჩევნო პროცესის მართვის სისტემის (არმასი) მოდერნიზაცია

საარჩევნო პროცესის მართვის სისტემას (არმასი) ახალი ფუნქცია დაემატა, რაც შესაბამისი გეოგრაფიული კოორდინატების რუკაზე საარჩევნო უბნების განთავსებას გულისხმობს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას არსებული საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობა შესაბამის რუკაზე მოინიშნა. ამ ეტაპზე რუკაზე 43 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი **2245** უბნის მონაცემებია მონიშნული. სამუშაო რუკის მონაცემებში არსებული ხარვეზებიდან გამომდინარე, **278** საარჩევნო უბნის კოორდინატების სისწორის დასადგენად გრძელდება მუშაობა.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება

საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის, ზოგადი უნარების დადგენისა და შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის მიზნით, სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაატარა.[8]

მნიშვნელოვანია, რომ სწავლების ცენტრმა, როგორც ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირთა საკითხებზე სამუშაო ჯგუფის წევრმა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, სასერტიფიკაციო გამოცდების საინფორმაციო რგოლი უმცირესობათა ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული) თარგმნა, შშმ პირთათვის საინფორმაციო რგოლი დაამზადა სურდო თარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). რგოლები საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში, ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე და სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე) განთავსდა.



[8] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება



გამოცდაზე სულ **3768** მსურველი დარეგისტრირდა, მათ შორის **2572** ქალი, რაც საერთო რაოდენობის **68%**-ია. გამოცდაზე დარეგისტრირდა **1196** კაცი, რაც საერთო რაოდენობის **32%**-ია. სულ გამოცდაზე გამოცხადდა **1172** მონაწილე **(31%)**. გამოცდა წარმატებით ჩააბარა **254** მონაწილემ, მათ შორის ქალი – **182**, კაცი – **72**.

ტექნოლოგიური სიახლეები და უსაფრთხოება

ინტესიურად მიმდინარეობს საარჩევნო პროცესებში თანამედროვე ელექტრონული პროგრამების ჩართვა-გამოყენება. ცესკოს სხდომებზე, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსებში მონაწილე კანდიდატთა ელექტრონული ხმის მიცემის მეთოდით არჩევის მიზნით ცესკოში შეიქმნა და ტესტირება გაიარა სპეციალურმა პროგრამამ.

ლიცენზირებული პროგრამების შეძენის საკითხზე ცესკომ კონსულტაციები გაიარა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მოხდა შესაბამისი წინადადებების განხილვა, მოსაწოდებელი პროგრამული ერთეულების რაოდენობის დაზუსტება, ხოლო შესაბამისი ნუსხა გადაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურს.

ანტივირუსული სისტემის განახლების მიზნით ცესკოში დანერგილი კორპორატიული ანტივირუსის ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად ჩატარდა ტენდერი, რომლის დასრულების შემდეგ მოხდა განახლებული ლიცენზიების ინსტალირება სერვერებზე და ცესკოში არსებულ კომპიუტერებზე.

მიზანი 4: იმიჯის განმტკიცება

ცესკოს იმიჯის განმტკიცების მიზანი ამომრჩევლებსა და სხვა ჩართულ მხარეებში საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის ამაღლებაა, რაც არჩევნების მართვის სფეროში, ადმინისტრაციის მიერ საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურების გაწევით, რეგიონალურ ლიდერად პოზიციონირებას გულისხმობს.

საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტური საიმიჯო კამპანიის განხორციელების მიზნით ცესკო საკუთარი საქმიანობის შესახებ მედიასა და დაინტერესებულ პირებს ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას. ინფორმაცია პრეს-რელიზების, საინფორმაციო ბიულეტენის, ინტერნეტის, სოციალური ქსელების მეშვეობით, ასევე მედიასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან უშუალო კონტაქტის გზით ვრცელდება.[9]

ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდი

ცესკო
ENG
ბიბლიოთეკა
ბიბლიოგრაფია
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა ეობანოვის და
ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული

მედიამონიტორინგი

საარჩევნო ადმინისტრაცია ყოველდღიურად უზრუნველყოფს როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო მედიასაშუალებებში ცესკოს და ზოგადად ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლეების მონიტორინგს. მედიამონიტორინგი 60-ზე მეტ საინფორმაციო სააგენტოს მოიცავს. ასევე, ყოველდღიურად მიმდინარეობს ყველა გავრცელებადი წამყვანი გაზეთის მონიტორინგი, მათ შორის: „ალია“, „კვირის პალიტრა“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ვერსია“, „ასავალ-დასავალი“, „პრაიმ ტაიმი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „ქრონიკა+“.

ცესკო, ასევე, უზრუნველყოფს ტელეკომპანიების მონიტორინგს: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, ტაბულა, კავკასია, ობიექტივი, საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია, ჯი-დი-ესი, ერთსულოვნება, პალიტრა ტვ და სხვა (საჭიროების შემთხვევაში რეგიონული ტელე-არხები).

საიმიჯო კამპანია

ცესკომ საიმიჯო-სარეკლამო კონცეფციის შექმნის მიზნით, ღია კონკურსი გამოაცხადა, თუმცა საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მოგვიანებით შიდა რესურსით სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც ახალი საიმიჯო რეკლამის კონცეფცია და სპეციალური გზავნილები „განვითარება გრძელდება“ და „განვითარების 25 წელი“ შეიმუშავა. რეკლამის კონცეფცია ადმინისტრაციის განვითარების ეტაპებს დაეფუძნა. დამზადდა და საქართველოს მასშტაბით განთავსდა 10 გარე ბანერი.

საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება

მიმდინარე წლის 24-26 თებერვალს ქ. ბათუმში გაიმართა საარჩევნო ადმინისტრაციების მეხუთე ყოველწლიური შეხვედრა „ინკლუზიური არჩევნები“, რომელიც ცესკომ საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრთან (ICPS) მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელა. შეხვედრაში **19** ქვეყნის **90**-მა წარმომადგენელმა, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციებს, სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ კომპანიებს წარმოადგენდნენ, მიიღო მონაწილეობა. მათ ერთმანეთს საარჩევნო პროცესში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ საკუთარი ქვეყნების გამოცდილება გაუზიარეს. გამომსვლელებმა საარჩევნო პროცესში ქალების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, უმცირესობების ჩართულობის გაზრდის აუცილებლობასა და ამ კუთხით საარჩევნო ადმინისტრაციების როლის ზრდაზე ისაუბრეს. ასევე, თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილება და შესაბამისი პროექტების დანერგვის შესაძლებლობები განიხილეს.

საარჩევნო სასწავლო ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის (IAETO) ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომელსაც ცესკო, სწავლების ცენტრი, საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი (ICPS), მექსიკის ფედერალური სასამართლოს საარჩევნო ტრიბუნალი და რუმინეთის მუდმივმოქმედი საარჩევნო ორგანო შეუერთდნენ.

სოციალური აქციების ორგანიზება

მიმდინარე წლის 12 აპრილს, ცესკოს წარმომადგენლებმა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის 80 მკვიდრს აღდგომის დღესასწაული მიულოცეს. საარჩევნო ადმინისტრაციის სახელით, ხანდაზმულებს სააღდგომო ტკბილეული გადაეცათ.

მიმდინარე წლის 1 ივნისს, ცესკოს თავმჯდომარემ ფონდ „სოციალური პარტნიორობის“ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა. ცესკოს ინიციატივით, ბავშვები ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკლს დაესწრნენ და გადაეცათ სხვადასხვა საჩუქრები.

მიმდინარე წლის 13 ივნისს, თბილისში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და სპეციალურად გახსნილ საბანკო ანგარიშზე პირადი ფინანსური შემოსავლიდან თანხები გადარიცხეს.

აღსანიშნავია, რომ ცესკომ და სწავლების ცენტრმა სხვადასხვა ხარჯის დაზოგვის შედეგად, სტიქიით დაზარალებულთათვის სახელმწიფო ბიუჯეტში **367 000** ლარი გადარიცხეს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა.

სტრატეგიული პრიორიტეტის „სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება“ გაძლიერების მიმართულებით, ცესკომ მიზნად დაისახა სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, საარჩევნო კულტურის განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა.

თითოეული მიზნის მისაღწევად ცესკომ განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

მიზანი 1: სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ცესკოს ეგიდით, სწავლების ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო კულტურის გაღრმავებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს, რომელიც განკუთვნილია საარჩევნო სამართლის დარგში იურიდიული ფაკულტეტისა და პოლიტიკურ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (მედიის სკოლა) სტუდენტებისთვის.

სწავლების ცენტრმა დაასრულა 2014-2015 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი სემესტრული სწავლებები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სასწავლო პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად, სწავლების ცენტრის მიერ ლექტორებისათვის და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის ელექტრონული პრეზენტაციები და დამხმარე სახელმძღვანელოები მომზადდა.

სწავლება მიმდინარეობდა შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენებით: ელექტრონული სწავლება, თეორიული სწავლება, პრაქტიკული სწავლება, როლური თამაშები (იმიტირებული კენჭისყრის პროცედურების, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით იმიტირებული პრესკონფერენციების, დებატების, კონკურსების ორგანიზება).

საანგარიშო პერიოდში სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში მემორანდუმის ხელმომწერი **19** უმაღლესი სასწავლებლიდან საქართველოს **10** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **328** სტუდენტმა გაიარა.

საპილოტე სასწავლო პროგრამების განხორციელება საჯარო სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის

საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის (XI-XII კლასები) მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, დემოკრატიული არჩევნების, არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებზე, ასევე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირების მიზნით, სწავლების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მოსწავლეებისათვის საარჩევნო განათლების საკითხებზე მუშაობს. გაიმართა სამუშაო შეხვედრები და მომზადდა მემორანდუმი. აღსანიშნავია, რომ საპილოტე პროექტი მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განხორციელდება.

საინფორმაციო შეხვედრები მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან (16-17 წლის ასაკი)

სწავლებისცენტრმაბავშვთასახლებსადაბავშვზეზრუნვისსხვაალტერნატიულადგილებშიგანთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის პროექტი განახორციელა. პროექტი ცესკოს, სწავლების ცენტრის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ააიპ ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა.

ორკვირიანი სასწავლო კურსი ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ქ. თბილისის „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელში“ განახორციელეს, ხოლო სწავლების მეორე ეტაპი – ქ. ქუთაისის „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელში“.

სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ელექტრონული სასწავლო პროგრამა როგორც თეორიულ ნაწილს, ისე პრაქტიკულ სავარჯიშოებს მოიცავდა. სასწავლო კურსში მონაწილეობა სულ **33**-მა მონაწილემ მიიღო, რომლებსაც შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

იურიდიული კლინიკა

სწავლების ცენტრმა იურიდიული კლინიკის ფორმატით საარჩევნო სამართალში სასწავლო კურსი განახორციელა. სწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში ოთხ ეტაპად მიმდინარეობდა. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში მემორანდუმის ხელმომწერი **3** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის **20**-მა

სტუდენტმა გაიარა.

აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ერთი მხრივ, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას საარჩევნო სამართალის დარგში, ხოლო მეორე მხრივ, საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური იურისტების პოტენციური რესურსის შექმნას.

მიზანი 2: საარჩევნო კულტურის განვითარება

ჩართული მხარეებისა და ფართო საზოგადოებისთვის კრეატიული სამოქალაქო-საგანმანათლებლო პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, ასევე არჩევნების სფეროში საზოგადოების ცნობიერების და კულტურის ამაღლებისთვის, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს შემდეგი საქმიანობები:

„სტუდენტური დებატ-კლუბი“

პროექტის „სტუდენტური დებატ-კლუბი“ ფარგლებში დებატები იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის გაიმართა რომლებმაც მიმდინარე წელს სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სემესტრული სწავლება გაიარეს საარჩევნო სამართლის დარგში. პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში[11] მონაწილეობა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივესიტეტის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს.

დებატები შემდეგ საკითხს მოიცავდა: „სავალდებულო უნდა იყოს თუ არა გენდერული კვოტა პარტიულ სიებში“. გამარჯვებული გუნდი გამოავლინა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცესკოს თავმჯდომარე, წევრები და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი. სტუდენტები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

[11] დებატის ამსახველი ფოტო მასალა იხილეთ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=795;

„საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“

დაიგეგმა ,,საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“-ის საპილოტე პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

- სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო და გენდერული თანასწორობის საკითხებში;

- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ტრენერის უნარ-ჩვევების განვითარება;

- საარჩევნო ადმინისტრაციაში დაგროვილი ცოდნის გაზიარების გზით, დამატებითი ადამიანური რესურსის შექმნა.

„საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“-ის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ 17-25 წლის ახალგაზრდები. პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი სხვადასხვა რეგიონის 10 საარჩევნო ოლქს (თელავი, გურჯაანი, ახალციხე, მარნეული, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ბათუმი) მოიცავდა.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებიდან შეირჩნენ ტრენერები, რომელთაც სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ტრენერთა ტრენინგი (ToT) ჩაუტარეს. „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015-თვის“ ტრენინგი ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული

სახელმძღვანელოს მიხედვით ჩატარდა.

აღნიშნული პროექტი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა (CoE) და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ეთნიკური უმცირესობების ენებზე საინფორმაციო კალენდრის შემუშავება არჩევნების მნიშვნელობისა და ხმის მიცემის უფლების შესახებ

ეთნიკური უმცირესობების ამომოჩეველთა საარჩევნო პროცესებში გააქტიურების მიზნით, ცესკოსა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა ორი სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის შედეგად განისაზღვრა საინფორმაციო კალენდარის სტრუქტურა, ფორმა და შინაარსი. ასევე, კალენდარში არჩევნების მნიშვნელობისა და ხმის მიცემის უფლების შესახებ ინფორმაცია იქნება ასახული. აღნიშნული კალენდარი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გავრცელდება. კალენდარი ქართულ ენაზეც გამოიცემა და მაღალმთიან რეგიონებში გავრცელდება.



მიზანი 3: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა

სამოქალაქო და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზანი, სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების განვითარების გზით, საარჩევნო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ზრდაა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს შემდეგი საქმიანობები:

საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

ცესკომ სწავლების ცენტრის მიერ შემუშვებული განახლებული „გრანტის გაცემის წესი“ დაამტკიცა. მიღებული ნორმატიული აქტი არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვან სიახლეებს სთავაზობს, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან პროაქტიულ თანამშრომლობას და პროცესის გამჭირვალობას შეუწყობს ხელს.

სწავლების ცენტრმა 2015 წლის 24 მარტიდან გამოაცხადა საგრანტო კონკურსი შემდეგ მიმართულებებზე:

- ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის;
- ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში;
- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებების ხელშეწყობა (რეგიონულ ჭრილში);
- ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში.

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით, სწავლების ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა მიზნად ისახავდა

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ მეტი ინფორმაციის მიღებასსაგრანტო კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის წესთან დაკავშირებით.

სულ სწავლების ცენტრში **75** საგრანტო განაცხადი შევიდა, რომელთაგან, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, სწავლების ცენტრის მიერ **25** საგრანტო პროექტი დაფინანსდა.

პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საწავლების ცენტრმა დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შესაბამისი პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გრაფიკი მოამზადა და სწავლების ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა.[12]

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი და პრეზენტაცია

სწავლების ცენტრმა 2014 წელს საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული **12-ვე** არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების მონიტორინგი უზრუნველყო.

გრანტის გაცემის წესის შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფმა საგრანტო პროექტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლი განახორციელა. მექანიზმი გასვლით შემოწმებებს და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი შუალედური/შემაჯამებელი ანგარიშების განხილვას გულისხმობს. პროექტების ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ უზრუნველყო.

მონიტორინგის შედეგების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსებულმა **12**-ვე არასამთავრობო ორგანიზაციამ საგრანტო პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები წარმატებით განახორციელა.

---

[12] იხილეთ სწავლების ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდი - http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=797.

აგრეთვე, პროექტების ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, გაცემული საგრანტო თანხები არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დოკუმენტურად სწორად არის გახარჯული, ხოლო გაუხარჯავი ნაშთი (არსებობის შემთხვევაში) სრულად არის დაბრუნებული.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით საჯარო ანგარიში წარადგინეს.[13] შემაჯამებელ შეხვედრას საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად სამოქალაქო სექტორის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 30[1] მუხლის საფუძველზე, სწავლების ცენტრმა, კომპეტენციის ფარგლებში, კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით, პოლიტიკური პარტიები დააფინანსა.

[13] დეტალური ინფორმაცია 2014 წლის 15 სექტემბერს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 12 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტების შემაჯამებელი პრეზენტაციების შესახებ, იხილეთ ბმულზე: http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=776

შეხვედრები საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაცია „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ (NIMD) ინიციატივით, ცესკოში გაიმართა შეხვედრა, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენელმა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს საკუთარი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

მიმდინარე წლის 19 ივნისს, ცესკოში, ცესკოს თავმჯდომარესა და უკრაინის დელეგაციის წარმომადგენლებს შორის გაიმართა ერთობლივი შეხვედრა. დელეგაცია საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ეუთო-ს ერთობლივი პროექტის ფარგლებში იმყოფებოდა. ვიზიტი უკრაინაში პარტიების გენდერულ აუდიტს და შემდგომ გენდერული კუთხით მათი სამოქმედო გეგმის შემუშავებას ეხებოდა. სამუშაო შეხვედრები, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერული კუთხით უკვე განხორციელებული, მიმდინარე და სამომავლო აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღებას გულისხმობდა. დელეგაციის წევრებმა გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს.

საანგარიშო პერიოდში ცესკოში **ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) 3** შეხვედრა გაიმართა, რომლებსაც როგორც არასამთავრობო, ისე საქართველოში აკრედიტირებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფორმატის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარე, თამარ ჟვანია მონაწილეებს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ

დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა. შეხვედრებზე ასევე სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების მიერ, საარჩევნო მიმართულებით განხორციელებული პროექტები და საქმიანობები განიხილებოდა.

აღსანიშნავია, რომ **ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG)** ერთ-ერთ შეხვედრაზე საახელმწიფო აუდიტის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, მონაწილეებს პრეზენტაცია „ანტიკორუფციული რეკომენდაციები და პოლიტიკური დაფინანსება“ წარუდგინა, რომელიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდს მოიცავდა.

უწყებათაშორისი კომისიების სამუშაო ჯგუფის ფორმატში მონაწილეობის ფარგლებში ცესკომ, საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის გეგმის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ნაწილი მოამზადა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ შუალედური ანგარიში მოამზადა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს წარუდგინა.

ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციამ, საქართველოს მთავრობის განკარგულებით[14] განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მიზნით მოამზადა და სახალხო დამცველის ოფისს წარუდგინა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში.

[14] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა (თავი XI. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა)

პროაქტიული თანამშრომლობა „ღია მმართველობა საქართველოსთან“ (OGP)

ცესკო და სწავლების ცენტრი „ღია მმართველობა საქართველოს“ (OGP) ფორუმის წევრს წარმოადგენს. აღნიშნულ ფორმატში საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით შესაბამისი ვალდებულებები აქვს ნაკისრი, მათშორის, საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ცესკოს ეგიდით, სწავლების ცენტრი სისტემატურად მონაწილეობს OGP-ს ფორუმის შეხვედრებში და კვარტალურად წარადგენს ანგარიშს საქმიანობის შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სწავლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ევროპის რეგიონულ კონფერენციაში, რომლის ფარგლებშიც საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარეს.

ცესკოს კონტაქტ-ცენტრის ფუნქციონირება

ცესკო, კონტაქტ-ცენტრის საშუალებით, საარჩევნო საკითხებზე ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას უზრუნველყოფს. დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება როგორც სატელეფონო, ისე ონლაინ ჩათის, ონლაინ ოპერატორისა და ხმოვანი ავტომატური საინფორმაციო სამსახურის საშუალებით ხდება.

კონტაქტ-ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობამ **1153**, ონლაინ ჩათში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობამ – **569** შეადგინა. კონტაქტ-ცენტრიდან **63** გამავლი ზარი განხორციელდა, ავტომატური საინფორმაციო სამსახურით **117** პირმა ისარგებლა, ხოლო დაინტერესებულ პირებს **79** მოკლე ტექსტური შეტყობინება გაეგზავნა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა.

სტრატეგიული პრიორიტეტის „საარჩევნო გარემო“ გაუმჯობესებისთვის ცესკომ მიზნად დაისახა სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობის მიღება, არჩევნების მთლიანობისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა, გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა და საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების პროცესის დახვეწა.

მიზანი 1: სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა

სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობის მიღების მიზანი საარჩევნო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და სხვადასხვა საკანონმდებლო წინადადების მომზადებაა.

გამოცემული საკანონმდებლო აქტების საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

ცესკოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა

ცესკოს იურიდიული დეპარტამენტი ცესკოს აპარატისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებს, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ადგილობრივ დამკვირვებლებს და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს რეგულარულად უწევდა იურიდიულ კონსულტაციას. ასევე, კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება გაეწიათ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებით.

სამუშაო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებთან

2014 წლის არჩევნების პერიოდში საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებთან გამართეს სამუშაო შეხვედრები. კერძოდ, იურიდიული დეპარტამენტის ორგანიზებითა და ინიცირებით, 2015 წლის თებერვლის თვეში გაიმართა **8** სამუშაო შეხვედრა ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან. 2015 წლის მარტის თვეში, კი გაიმართა **7** სამუშაო შეხვედრა თბილისში, თელავში, ქუთაისში, გორში, სენაკში, ბათუმსა და ბორჯომში ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთან და მათ კურატორებთან (**160** ადამიანი).

იურიდიულმა დეპარტამენტმა შეხვედრების შედეგად, გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ წინადადებები შეიმუშავა და ცესკოს წევრებს წარუდგინა. იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და ცესკოს წევრების მონაწილეობით ჩატარდა **5** სამუშაო შეხვედრა. შედეგად, ცესკოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადდა კანონპროექტის საბოლოო ვერსია განმარტებითი ბარათით და საკანონმდებლო ორგანოში გადაიგზავნა.

მიზანი 3: ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია. ცესკო ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებს, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას, ჩართულ მხარეებთან საკონსულტაციო მექანიზმების დახვეწას უზრუნველყოფს. სხვადასხვა საქმიანობის განხორციელების შედეგად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული.

შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან რეგიონებში

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა საარჩევნო საკითხებზე ინფორმირების, არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობისა და მათთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან შეხვედრები სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში გამართა.

ქ. გარდაბანში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის, ცესკოს მიერ 2015 წელს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მიმართ დაგეგმილი აქტივობების, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის პროცედურებისა და ცესკოს კონტაქტ-ცენტრის შესახებ.

ქ. მარნეულში, ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD) და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისის ერთობლივი პროექტის

„ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა. დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებისა და საარჩევნო პერიოდში ცესკოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებით.

მრგვალი მაგიდები ეთნიკურ ჯგუფებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან

ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველის მოადგილესთან და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭოს წევრებთან გაიმართა შეხვედრა. შეხვედრაზე ცესკოს თავმჯდომარემ დამსწრეებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებისათვის 2015 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებები გააცნო.

შეხვედრა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებთან

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ცესკოს ხელმძღვანელ პირებსა და სრულიად საქართველოს შეიხთან, აღმოსავლეთ საქართველოს მუფტთან და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრა შედგა. შეხვედრაზე მოწვეულმა სტუმრებმა 2015 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

ცესკოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ჩართულობის მიზნით, ცესკოს კონტაქტ-ცენტრსა და საფინანსო დეპარტამენტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 2 პირი დასაქმდა. ასევე, დაიგეგმა კონტკრეტული ნაბიჯები მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

უსინათლო ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა

უსინათლო ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღების მიზნით, ცესკო სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ უსინათლო ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას ახორციელებს.

პირველ ეტაპზე **53** ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციიდან იქნა გამოთხოვილი შესაბამისი ინფორმაცია. ამ ეტაპისთვის მოთხოვნას მხოლოდ **11** ქვეყნის (ბელორუსია, ლატვია, უნგრეთი, ხორვატია, სლოვენია, სომხეთი, ყირგიზეთი, მალაიზია, პაკისტანი, უკრაინა და გერმანია) საარჩევნო ადმინისტრაციამ უპასუხა და მათგან ცესკომ უსინათლო პირთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მიიღო.

ინფორმაცია დამუშავდა, რის შემდგომაც მხოლოდ ოთხი ქვეყნის (ყირგიზეთი, ხორვატია, სლოვენია, ბელორუსია) საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი პრაქტიკის გაზიარების მიზნით, მოხდა დამატებითი დეტალური ინფორმაციის გამოთხოვა.

მიზანი 4: გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა

გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, ისე ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის წახალისებას გულისხმობს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცესკომ განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის შემუშავება

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული გენდერული პოლიტიკა განსაზღვრავს ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუდმივად ახდენს ამომრჩევლის ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ცესკოს გენდერული პოლიტიკის დოკუმენტზე აქტიურად დაიწყო მუშაობა. გაიმართა შეხვედრა ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან. მონაწილეებმა ცესკოს გენდერის მიმართულებით სამოქმედო გეგმის შემუშავების და განხორციელების პროცესში ჩართული სუბიექტების მხრიდან დახმარების აღმოჩენის საჭიროებებზე იმსჯელეს. ასევე, ევროპის საბჭოს მხრიდან მეთოდოლოგიური დახმარების შესაძლებლობა განიხილეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველდღიური გადაცემა „გენდერული ამბების“ და რადიო „თავისუფლების“ მეშვეობით მსმენელებს ცესკოში ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია.

ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე არჩევნების კონტექსტში

სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, განახორციელა ტრენერთა ტრენინგი თემაზე „გენდერული თანასწორობა: ძირითადი პრინციპები, მათი მნიშვნელობა და თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ტრენინგში მონაწილეობა სწავლების ცენტრისა და ცესკოს წარმომადგენლებმა, პარტნიორი უნივერსიტეტების ლექტორებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა მიიღეს. ტრენინგზე განიხილეს შემდეგი საკითხები: გენდერის ძირითადი ცნებები, გენდერული თანასწორობა და პოლიტიკა, გენდერული თანასწორობა საქართველოში, გენდერი და არჩევნები (კვოტირების მექანიზმები).

ტრენერთა ტრენინგი **21** მონაწილეს ჩაუტარდა. ტრენინგის ფორმატში შემუშავდა გენდერის მოდული „გენდერი და არჩევნები“, განისაზღვრა შესაბამისი საკითხები მიზნობრივი ჯგუფებისთვის, სწავლების მეთოდი და ხანგრძლივობა. აღნიშნული მოდული ცესკოს საპილოტე პროექტისთვის – „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ შემუშავებულ სასწავლო კურსში იქნა ინტეგრირებული.

საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერული შემადგენლობის მიხედვით

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის, ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული და არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა გენდერული სტატისტიკა ოლქების მიხედვით, უკვე ხელმისაწვდომია ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებულ ბანერში ”საარჩევნო რუკა”.

დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით წარდგენილ კანდიდატთა და არჩევნების შედეგად არჩეულ საკრებულოს წევრთა და მერების/გამგებლების

გენდერული მონაცემები. ამას გარდა, ცესკომ დაამუშავა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის მოხელეთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში.

გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება საგრანტო კონკურსის ორგანიზებისას

2015 წლის 24 მარტს სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო მიმართულებაზე – „ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში“, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 5 საგრანტო პროექტი დაფინანსდა, რომელიც საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის მოტივაციის ზრდისა და მათი პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს.

მიზანი 5: საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების დადგენის პროცესის დახვეწა

საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების დადგენის პროცესის დახვეწა ამომრჩეველთა აქტიური საარჩევნო უფლების დაუბრკოლებელ რეალიზაციას გულისხმობს.

ამომრჩეველთა სიების განახლებისათვის ინფორმაციის გადმოცემა და დამუშავება განხორციელდა საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე. ამომრჩეველთა რაოდენობამ 2015 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგინა – **3471719** ამომრჩეველი.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები

არჩევნების ორგანიზება მაღალპროფესიულ დონეზე, არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა

სტრატეგიული პრიორიტეტის „საარჩევნო ოპერაციების“ ფარგლებში, ცესკომ მიზნად დაისახა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს დროში და ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის მიწოდება.

მიზნის მისაღწევად ცესკომ განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

მიზანი 3: ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება

ცესკომ პარტიების, საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების სტატისტიკური მონაცემების გამოსაქვეყნებელი სტანდარტის შექმნის მიზნით დაამუშავა ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების მიერ 2008-2014 წლებში მიღებული საბიუჯეტო დაფინანსების შესახებ.

ცესკოში შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი თავისი ადმინისტრირების სისტემით, სადაც განთავსდა პარტიების/საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების სტატისტიკური მონაცემები და ხელმისაწვდომია ჩართული/დაინტერესებული მხარეებისთვის.[15]

---

[5] იხილეთ საკრებულოს შუალედური არჩევნების ანგარიში ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.cesko.ge/ge/arqivi-6-ge/shualeduri-archevnebi-2015/sakrebulos-shualeduri-archevnebis-angarishi

არჩევნების ხარჯების შესახებ სტატისტიკური მონაცემების სტანდარტის შემუშავება/ სტატისტიკური ინფორმაციის გასაჯაროება

ცესკომ შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის ვებ-გვერდებზე არჩევნების ხარჯების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია. შესწავლის შედეგად, შემუშავდა არჩევნების ხარჯების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის სტანდარტის ფორმა. აღნიშნული სტანდარტის ფორმა სხვადასხვა საჯარო უწყების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდა. ამჟამად, დამუშავებული ინფორმაციის გასაჯაროების თვალსაზრისით, სტანდარტის ცესკოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნების ფორმატი განხილვის სტადიაშია.

საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო ბიუჯეტის დაგეგმისათვის საპროგნოზო მოდელის აგებაზე აგრძელებს მუშაობას, რაც არჩევნების ბიუჯეტირების სფეროში თვისობრივად ახალ მიდგომას წარმოადგენს. შემუშავებული მოდელი შემდგომ დამუშავებას და შემოწმებას მოითხოვს.

პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულების დროს, საარჩევნო ადმინისტრაციაში გარკვეული პრობლემები შეიქმნა, რომელებიც ცესკომ საკუთარი რესურსებით გადაჭრა. კერძოდ:

ცესკომ საიმიჯო-სარეკლამო კონცეფციის შექმნის მიზნით ღია კონკურსი გამოაცხადა, თუმცა საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მოგვიანებით შიდა რესურსით სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც ახალი საიმიჯო რეკლამის კონცეფცია შეიმუშავა. რეკლამის კონცეფცია ადმინისტრაციის განვითარების ეტაპებს დაეფუძნა.

ცესკოში ანგარიშგების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, სტრუქტურული ერთეულების მიერ ანგარიშების ერთიანი სტანდარტის შესაბამისად წარმოდგენის აუცილებლობა გამოიკვეთა. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად, ცესკოში ანგარიშებზე მომუშავე თანამშრომლებისათვის ანგარიშის მომზადების შესახებ პრეზენტაცია გამართა.

ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების დროს ფორსმაჟორულ სიტუაციაში რეაგირება ხდებოდა. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით საფინანსო დეპარტამენტმა ადმინისტრაციული შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ყოველკვირეული შემოვლის, დათვალიერებისა და შემოწმების წესი შეიმუშავა, რაც მომავალში საჭიროების დროულ გამოვლენას და მათ პრევენციას შეუწყობს ხელს.

დასკვნა

საანგარიშო პერიოდში, ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული და 2015 წლის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული და სხვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ღონისძიებები წარმატებით განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ ცესკოს 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დაგეგმილი ღინისძიებების უმრავლესობა სრულად და დროულად შესრულდა.

აღნიშნული საქმიანობის განხორციელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლებას, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნასა და ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

შესრულებული სამუშაოს შედეგად, ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა, რომლებზე მუშაობაც მომავალ საანგარიშო პერიოდშია დაგეგმილი.

ცხრილი №1

ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის		
ტრენინგის/სემინარის დასახელება	დამსწრეთა რაოდენობა	განმახორციელებელი მხარე
არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი კურსი	39	სწავლების ცენტრი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგი მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით	69	IFES/USAID
საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება საქმისწარმოების, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში	69	ცესკო

ცხრილი №2

ტრენინგები ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის		
ტრენინგის/სემინარის დასახელება	დამსწრეთა რაოდენობა	განმახორციელებელი მხარე
ანალიტიკური წერის კურსი სამართლებრივ წერაში	11	იუსტიციის სასწავლო ცენტრი
ცესკოს აპარატის თანამშრომელთა სასწავლო კურსი ექსელში (Microsoft Excel)	15	ცესკო
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია პროფესიული და საზოგადოებრივი აქტივობის საშუალებით - საქართველო	1	ჰოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
ინფორმაციული უსაფრთხოება	2	it-knowletge
ფინანსური მოდელირება ექსელში	4	ფინანსთა სამინისტროს აკადემია
საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები IPSAS	1	ფინანსთა სამინისტროს აკადემია
საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვა ანგარიშგება	1	ფინანსთა სამინისტროს აკადემია

საარჩევნო დავების გადაწყვეტის გზები აღმოსავლეთ და სამხრეთ კავკასიაში: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი დაცვის ეფექტური საშუალებები	2	OSCE/ODIHR, პოლონეთი
ეუთო/ოდირის ტრენინგი გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის	1	OSCE/ODIHR, სერბეთი
ადგილობრივი დემოკრატია გენდერულ ჭრილში	2	შვედეთის საერთაშორისო ცენტრი ადგილობრივი დემოკრატიისთვის (ICLD), შვედეთი

ცხრილი №3

საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმი		
დასახელება	**განმახორციელებელი მხარე**	**ჩატარების ადგილი**
საერთაშორისო ადმინისტრაციის რეგიონული გამოწვევები და მიღებული გამოცდილება	IFES-ისა და უკრაინის ცესკო	კიევი, უკრაინა
მეორე საერთაშორისო კონფერენცია - არჩევნების მთლიანობა და რეგიონული თანამშრომლობა	რუმინეთის მუდმივი საარჩევნო კომისია	ბუქარესტი, რუმინეთი

საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენელთა მე-12 საერთაშორისო კონფერენცია	ევროპის საბჭო	ბრიუსელი, ბელგია
ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა	ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია და საფრანგეთის ეროვნული ასამბლეა	პარიზი, საფრანგეთი
ჩეხეთის რესპუბლიკის პირველი დემოკრატიული არჩევნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია	IFES	პრაღა, ჩეხეთი
კონფერენცია თემაზე: „დემოკრატიული მმართველობა"	Carl Friedrich Goerdeler - Kolleg for good Governance"	ლვოვი, უკრაინა
მეათე საერთშორისო საარჩევნო სიმპოზიუმი	ICPS/იამაიკის საარჩევნო ადმინისტრაცია	მონტეგო ბეი, იამაიკა

ცხრილი №4

დასახელება	რაოდენობა
საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციაში გატარების/არ გატარების შესახებ დასკვნა და განკარგულების პროექტი	5
სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება	157
ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი	203
შრომით ხელშეკრულება	127
სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დოკუმენტი	2
სხავდასხვა დეპარტამენტების მიერ მომზადებული მემორანდუმი, წესი, დებულება და ინსტრუქცია	29
განკარგულების პროექტი	69
დადგენილების პროექტი	5